2017 წლის
ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების მონიტორინგი
საქართველოში

ადამიანის უფლებათა ცენტრი
Human Rights Center (HRIDC)

2017 წლის
ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების მონიტორინგი საქართველოში

თბილისი, 2017

ანგარიშის ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე
ფოტო გარეკანზე - ეკა ქობესაშვილის

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC);www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.

ანგარიში მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სარჩევი

შესავალი	4
2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	4
წინასაარჩევნო გარემო	7
არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები	11
შესავალი	11
გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლები	13
ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები	15
თელავის მუნიციპალიტეტი	17
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	21
არჩევნების დღის შეჯამება - ძირითადი დაკვირვებები	25
რეკომენდაციები	27

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგებს. პროექტი ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის 25-მა დამკვირვებელმა არჩევნების დღის მონიტორინგი განახორციელა კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში. ორგანიზაცია არჩევნების დღეს აკვირდებოდა როგორც მობილური ჯგუფების, ასევე სტაციონარული დამკვირვებლების მეშვეობით.

მონიტორინგის მიზანს წარმოაგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღის დემოკრატიული სტანდარტებით, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად წარმართვის ხელშეწყობა. დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ არჩევნების დღის მონიტორინგი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველყოფისათვის. დამკვირვებლების მიერ აღმოჩენილი ხარვეზებისა და დარღვევების გაანალიზება აუცილებელია არჩევნების პროცესის სრული და მიუკერძოებელი შეფასებისათვის.

ანგარიშში თავდაპირველად წარმოდგენილია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების მიმოხილვა. ამის შემდეგ ანგარიშში განხილულია წინასაარჩევნო პერიოდის ძირითადი ტენდენციები.

არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგ თავებად: 1) შესავალი, 2) არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები (ქვეთავები: გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლები, ახმეტის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), 3) არჩევნების დღის შეჯამება - ძირითადი დაკვირვებები, 4) რეკომენდაციები.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2012 წლის საპარლამენტო, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებაში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მმართველი პოლიტიკური ძალა, ქვეყნის ისტორიაში პირველად არჩევნების გზით შეიცვალა. შემდგომმა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების

შეფასებით, ძირითადად, მშვიდ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩაიარა, სადაც, ძირითადი თავისუფლებები, ზოგადად, დაცული იყო[1]. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა რიგი დარღვევები, რომლებიც გამოწვეული იყო როგორც საარჩევნო კომისიის წევრთა (ყველა დონეზე) მოუმზადებლობით, ასევე ცალკეული საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ჩადენილი გადაცდომებითა და საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით[2].

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ტარდება. პროპორციული მანდატების მოსაპოვებლად, საარჩევნო სუბიექტებმა ოთხპროცენტიანი ბარიერი უნდა გადალახონ. ერთმანდატიან ოლქებში მანდატების მოსაპოვებლად კანდიდატებმა ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა უნდა მიიღონ. მერების არჩევნებში გაიმარჯვებს კანდიდატი, რომელიც ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. 50%-ზე ნაკლები ხმების მიღების შემთხვევაში კი, მეორე ადგილზე გასულ კანდიდატთან ერთად მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას[3].

საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს გამოცემული განკარგულების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, 2017 წლის 21 ოქტომბერს დაინიშნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვიმმართველი თემის მერის არჩევნები. 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოიცავდა:

- საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, 4 თვითმმართველი ქალაქისა და 59 თვითმმართველი თემის მერის არჩევას;
- თბილისის თვითმმართველი ორგანოს, საკრებულოს 50 წევრის არჩევას (რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე);
- თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა თბილისისა) 63 საკრებულოს 2008 წევრის არჩევას, რომელთაგან პროპორციული სისტემის

---

[1] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, 2017 წელი. გვ.1.
http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/299306?download=true

[2] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშები:
http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/HRIDC_2012-election.pdf
http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/2013%20wlis%20angarishi2.pdf
http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%20%20%20-%20-%20%20%20

საფუძველზე აირჩეოდა 945 წევრი, ხოლო მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე - 1063 წევრი[4].

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის რეგისტრირებული იყო: 22 პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 225 საინიციატივო ჯგუფი. საქართველოს მასშტაბით, საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმოდგენილი იყო 964 წევრი, რომელთაგან პროფესიული ნიშნით იყო არჩეული 380, დროებითი - 73, ხოლო უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნული - 511 წევრი. 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შეიქმნა 3634 საარჩევნო უბანი. საარჩევნო უბნების წევრთა რაოდენობა წარმოადგენდა 47 242-ს[5].

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს წინ უძღოდა ცვლილებები საარჩევნო და ადგილობრივი თვითმართველობის კანონმდებლობაში. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებები ნაჩქარევად და მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინების გარეშე იქნა მიღებული[6].

2017 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატან ცვლილებებს, რის შედეგადაც, 12 თვითმმართველი ქალაქიდან 7-ს ჩამოერთვა თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. თვითმმართველი ერთეულის სტატუსი შეინარჩუნა მხოლოდ ხუთმა ქალაქმა - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი და ბათუმი. აღნიშნული სტატუსი ჩამოერთვა შემდეგ ქალაქებს - თელავი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ამბროლაური, ოზურგეთი და ზუგდიდი[7].

30 ივნისს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრებიდან საკრებულოში ასარჩევი მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა. აღნიშნული ცვლილებებით, 4-დან 10 ათასამდე მოსახლე ორ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს, 20 ათასამდე მოქალაქე - სამ მაჟორიტარს, ხოლო 35 ათასამდე ამომრჩევლის შემთხვევაში - ქალაქს ოთხი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება[8].

---

[4] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შუალედური ანგარიში - „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები", 2017. გვ. 16.

[5] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შუალედური ანგარიში - „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები", 2017. გვ. 11.

[6] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. http://www.transparency.ge/ge/post/2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-cinasaarchevno-garemos-shepaseba

[7] „პარლამენტმა შვიდ ქალაქს საბოლოოდ ჩამოართვა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი": http://civil.ge/geo/article.php?id=31403

[8] „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს გაიმართება":

შვიდი ქალაქისათვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმებას მწვავე კრიტიკა მოჰყვა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. პრეზიდენტმა აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს ვეტო დაადო და პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით უკან **დაუბრუნა**, მაგრამ მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ", პრეზიდენტის **ვეტო დაძლია**[9].

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის თანახმად, თვითმმართველი ქალაქებისათვის სტატუსის ჩამორთმევის საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 10.2 მუხლის შესაბამისად, საჯარო განხილვების შედეგად უნდა გადაწყვეტილიყო. ხელისუფლებას არ გაუმართავს კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული განხილვები, რითაც დაირღვა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნა[10].

თვითმმართველი ქალაქების სტატუსის გაუქმებამ საფრთხე შეუქმნა საქართველოში მმართველობის დეცენტრალიცაზიის პროცესს, რაც, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ამცირებს ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტს და უკანგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ქვეყნის მართვის ევროპულ მოდელზე გადასვლის შეფერხების კუთხით[11].

წინასაარჩევნო გარემო

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ფარგლებში არ განხორციელებულა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ. თუმცა, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიზანშეწონილად მიიჩნევს, წარმოადგინოს მოკლე მიმოხილვა წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებზე დაყრდნობით.

2017 წლის 21 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდი ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო და 60 კალენდარული დღის განმავლობაში გრძელდებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდი, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. თუმცა, პრობლემურ ტენდენციებს შორის ხაზგასმულია მმართველი პარტიის აშკარა დომინანტური მდგომარეობა კამპანიის პერიოდში, რისი მკვეთრი გამოხატულებაც იყო პარტიების შემოწირულობებისა და

---

http://www.civil.ge/geo/article.php?id=31529

[9] „პარლამენტმა შვიდ ქალაქს საბოლოოდ ჩამოართვა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი": http://civil.ge/geo/article.php?id=31403

[10] „არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტის დადგენილება სასამართლოში გაასაჩივრეს": http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=15&info_id=4937

[11] საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების მიმართვა 7 თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის შესაძლო გაუქმებაზე: http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4818

წინასაარჩევნოდ გაწეული ხარჯების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი სხვაობა[12]. დამკვირვებელი ორგანიზაციების შეფასებით, ძალადობის შემთხვევებს არ ჰქონია მასობრივი სახე, მაგრამ არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იმატა ზეწოლა-მუქარის შემთხვევებმა. ორგანიზაციები, ასევე, მიუთითებენ მმართველი პარტიის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ტენდენციასა და რიგ შემთხვევებში, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლისა თუ აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შემთხვევებზე, მათ შორის, საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო კომისიის წევრების მიერ[13].

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიშის თანახმად, კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, გახშირდა კანონმდებლობის დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორიც საფრთხეს უქმნის საარჩევნო სუბიექტებისთვის თანასწორ და თავისუფალ წინასაარჩევნო გარემოს[14]. ორგანიზაციის დაკვირვებით, აღნიშნულ პერიოდში გამოვლინდა ზეწოლა/მუქარის 23 შემთხვევა, სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების 1 შემთხვევა, ძალადობის 2 შემთხვევა, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლის 3 შემთხვევა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 6 შემთხვევა, შენობა-ნაგებობების არამართლზომიერი გამოყენების 1 შემთხვევა, აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის 6 და სააგიტაციო მასალების დაზიანების 11 შემთხვევა[15].

საარჩევნო კანონმდებლობის ბოლო ცვლილებებით გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების გარკვეული რეკომენდაციები, რაც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებს პოლიტიკური პარტიების მსგავსად ეძლევათ შესაძლებლობა, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მერობის კანდიდატები

---

[12] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.
http://www.transparency.ge/ge/post/2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-cinasaarchevno-garemos-shepaseba

[13] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.
http://www.transparency.ge/ge/post/2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-cinasaarchevno-garemos-shepaseba

[14] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), გვ. 3.
http://www.isfed.ge/main/1294/geo/

[15] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), გვ. 3.
http://www.isfed.ge/main/1294/geo/

წარადგინონ[16], რასაც შესაბამისობაში მოჰყავს კანონმდებლობა ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებთან. კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, კანდიდატებს შეუძლიათ, საკრებულოსა და მერის არჩევნებში ერთდროულად იყარონ კენჭი (გარდა თბილისისა). აღნიშნული ცვლილება ასევე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მხრივ, რადგანაც ამ შემთხვევაში, პარტიის ლიდერებს, მერის არჩევნებში წაგების შემთხვევაში, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ[17].

თუმცა, საარჩევნო კანონმდებლობაში რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის კრიტიკის საგანია[18].

წინასაარჩევნო პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მმართველი პარტიის და სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ შემოწირულობებს შორის დიდი სხვაობა, რამაც მმართველი პარტია დომინანტურ მდგომარეობაში ჩააყენა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1 ივლისი - 13 სექტემბრის პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ“ შემოწირულობების სახით 7.34 მილიონი ლარი მიიღო (რაც ჯამში დეკლარირებული შემოწირულობების 95%-ს შეადგენს). „ევროპული საქართველოს“ მიერ იგივე პერიოდში მიღებული შემოწირულობები 323,675 ლარს შეადგენდა. დარჩენილმა ცხრა პარტიამ კი ჯამში მთლიანი შემოწირულობების მხოლოდ ერთი პროცენტი მიიღო[19].

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხს არეგულირებს საქართველოს საარჩევნო კოდექსი და კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ. პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, მიიღონ როგორც კერძო დაფინანსება, ასევე დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან ის პარტიები, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ხმების მინიმუმ 3% აიღო. საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300 000 ლარს შეადგენს. გარდა დაფინანსებისა, პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით ხმების მინიმუმ 5%-ს მიიღებენ, უფლება აქვთ, სახელმწიფოსგან წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვონ - მაქსიმუმ 1 000 000 ლარის ოდენობით. ადგილობრივი

---

[16] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში. 29 აგვისტო – 25 სექტემბერი, 2017. გვ. 6.
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf

[17] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში. 29 აგვისტო – 25 სექტემბერი, 2017. გვ. 6.
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf

[18] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია - „საქართველო – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 2017 წლის 21 ოქტომბერი''. გვ. 5.
http://civil.ge/files/files/2017/Local%20Elections/GE-2017_PrelimStatement_ge_2017.10.22.pdf

[19] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
https://sao.ge/news/922

თვითმმართველობის ორგანოების შემთხვევაში, წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ანაზღაურება შეადგენს არაუმეტეს 500 000 ლარს იმ პარტიებისათვის, რომლებმაც ხმების მინიმუმ 3% აიღო. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი კანდიდატები სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებენ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი პროცენტი დააგროვეს წინა არჩევნებში[20].

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის თანახმად, რამდენიმე ოპოზიციური პარტიისაგან მიღებული ინფორმაციით, მათ ბანკიდან სესხის აღება გაუჭირდათ და ვერ შეძლეს კერძო შემომწირველების მოზიდვა, რომლებიც უფრთხიან შესაძლო სადამსჯელო ღონისძიებებს. ორგანიზაციის შეფასებით, პოლიტიკური დაფინანსების კუთხით მსგავსი არათანაბარი გარემო ქვეყანაში დემოკრატიული კონკურენციის არსებობისთვის გრძელვადიან გამოწვევად რჩება[21].

წინასაარჩევნო პერიოდის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პოლარიზებული მედია. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშის თანახმად, წამყვანი მედია მაუწყებლები გამოირჩეოდნენ მიკერძოებით კონკრეტული პარტიების მიმართ. საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვა პარტიებთან შედარებით მეტი დრო მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას“ დაუთმო, აჭარის ტელევიზიამ კი წინასარჩევნო კამპანია დაბალანსებულად გააშუქა. ორგანიზაციების შეფასებით ყველაზე პოპულარული კერძო მაუწყებლების, „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მიდგომა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმართ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა[22]:

„მაშინ, როდესაც „რუსთავი 2“ ხშირად აკრიტიკებდა „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას, ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ამ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ ლოიალურობით გამოირჩეოდა. გაშუქების ოდენობის მხრივ, „იმედის“ მიკერძოებულობა „ქართული ოცნების“ მიმართ თვალსაჩინო იყო. ამას გარდა, „იმედზე“ გასული მრავალი სიუჟეტი ყოფილი პრემიერ-მინისტრის და გავლენიანი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას და პროექტებს წარმოაჩენდა. „ობიექტივი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ მხარდაჭერას ღიად გამოხატავდა“ - აღნიშნულია საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშში[23].

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ წინასაარჩევნო პერიოდში სულ 5 რეკომენდაცია გამოსცა, მათ შორის - რეკომენდაცია

---

[20] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ''.
საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი''.

[21] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში. 29 აგვისტო – 25 სექტემბერი, 2017. გვ. 19.
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf

[22] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია - „საქართველო – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 2017 წლის 21 ოქტომბერი''. გვ. 3.
http://civil.ge/files/files/2017/Local%20Elections/GE-2017_PrelimStatement_ge_2017.10.22.pdf

[23] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია - „საქართველო – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 2017 წლის 21 ოქტომბერი''. გვ. 18.
http://civil.ge/files/files/2017/Local%20Elections/GE-2017_PrelimStatement_ge_2017.10.22.pdf

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეების მიმართ, სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას თავი შეეკავებინათ სოციალურ ქსელებში პირადი გვერდის პოლიტიკური მოწოდებების და აგიტაციის/კონტრაგიტაციის მიზნებისთვის გამოყენებისაგან და მაქსიმალურად გაემიჯნათ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან[24]. უწყებათაშორისი კომისიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეეხებოდა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) თანამშრომლებს, სასწავლო პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილების მიზნით სამუშაო დღის განმავლობაში, მათ შორის - შესვენებისას ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, თავი შეეკავებინათ პოლიტიკური აგიტაციისგან/კონტრაგიტაციისგან, მათ შორის - სოციალურ ქსელებში პირადი გვერდის გამოყენებით; ასევე, მათი აღსაზრდელების/მოსწავლეების წინასაარჩევნო პროცესებში ჩართვისაგან და მაქსიმალურად გაემიჯნათ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან[25].

არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები

შესავალი

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 14%-ს შეადგენს, მათ შორის, ყველაზე დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები და სომხები (6,3 და 4,5 პროცენტი შესაბამისად)[26]. საქართველოს მასშტაბით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 ოლქი არსებობს[27].

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის შუალედური ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის

[24]თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია, 2017 წლის 2 ოქტომბრის სხდომა.
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202017%2FIATF%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2002.10.2017.doc.pdf

[25] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია, 2017 წლის 9 ოქტომბრის სხდომა.
http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi

[26] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში. 29 აგვისტო – 25 სექტემბერი, 2017. გვ. 24.
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf

[27] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://cesko.ge/res/docs/EtnikuriUbnebi2017.pdf

არჩევნებისათვის, ზემოაღნიშნულ 12 ოლქში შექმნილია 345 საარჩევნო უბანი, მათ შორის, ქართულ-აზერბაიჯანული - 208, ქართულ-სომხური - 133, და ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული - 4[28].

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ახორციელებდნენ მონიტორინგს არჩევნების დღეზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შემდეგ სოფლებში: 1) ყარაჯალა და ნაფარეული (თელავის მუნიციპალიტეტი); 2) დუზაგრამა, ლამბალო, იორმუღანლო, ქეშალო და მუღანლო (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი); 3) ომალო, ხალაწანი, დუისი, ჯოყოლო (ჯოყოლოსა და დუისში საარჩევნო სიებში ასევე რეგისტრირებული იყო სოფლების, ბირკიანისა და დუმასტურის მოსახლეობა) (ახმეტის მუნიციპალიტეტი); 4) ტირძნისი, ნიქოზი, ფხვენისი, ტყვიავი (გორის მუნიციპალიტეტი).

ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი, რადგანაც ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი სრულყოფილად არ ფლობს ქართულ ენას. აღსანიშნავია, რომ ცესკომ განახორციელა მნიშვნელოვანი აქტივობები ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლების მიზნით საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის: საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, საარჩევნო დოკუმენტაციისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სახელმძღვანელო ინსტრუქციების თარგმნა და განთავსება ცესკოს ვებგვერდზე[29]. კენჭისყრის დღისთვის აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ამომრჩევლებისათვის ითარგმნა და დაიბეჭდა: საარჩევნო ბიულეტენი, ბიულეტენის შევსების წესი, ამომრჩევლის მონაცემების ბარათი, კენჭისყრის შენობაში გასაკრავი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო პოსტერი და ამომრჩეველთა ერთიანი სია[30]. აღნიშნული ანგარიში აჩვენებს, რომ, მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის მხრივ, კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს, რაც წარმოაჩენს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფრო ეფექტური, აქტიური და მასშტაბური საინფორმაციო კამპანიებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების საჭიროებას.

---

[28] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შუალედური ანგარიში - „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები'', 2017. გვ. 64.

[29] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შუალედური ანგარიში - „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები'', 2017. გვ. 64-65.

[30] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შუალედური ანგარიში - „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები'', 2017. გვ. 66.

გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში დაკვირვებას ახორციელებდნენ შემდეგ უბნებზე - სოფელ ტყვიავის N92 და N64, სოფელ ზემო ნიქოზის N99 და N58, სოფელ ფხვენისის N74 და სოფელ ტირძნისის N91 საარჩევნო უბნებზე.

გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე უბანზე 10-15 წუთის დაგვიანებით დაიწყო კენჭისყრა, რისი გამომწვევი მიზეზიც, დამკვირვებლების შეფასებით, იყო წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა ხანგრძლივი რეგისტრაცია, რაც, რიგ შემთხვევებში, გამოწვეული იყო საუბნო კომისიის მდივნის გამოუცდელობით.

უბნებზე კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, არსებითი დარღვევების გარეშე. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ აღნიშნულ უბნებზე არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე ან ისეთი დარღვევა, რომელიც არ აღმოფხვრილა საუბნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. შესაბამისად, არ დაწერილა საჩივარი/განცხადება ან შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული მცირე დარღვევები იყო პროცედურული ხასიათის და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებით. მნიშვნელოვანია, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარეები დადებითად რეაგირებდნენ და ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების ზეპირსიტყვიერ შენიშვნებს პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით. პროცედურული დარღვევების აღმოფხვრა ხდებოდა დაუყოვნებლივ, მითითებისთანავე. ასევე, აღსანიშნავია, რომ კომისიის თავმჯდომარეებს გაცნობიერებული ჰქონდათ დამოუკიდებელი დამკვირვებლების როლი და საშუალებას აძლევდნენ მათ, სრულფასოვნად განეხორციელებინათ საკუთარი უფლებამოსილება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ტყვიავის N92 უბანზე დააფიქსირა შემთხვევა, როცა ამომრჩეველი შევიდა ერთი კარიდან და უბანი დატოვა სხვა კარიდან. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნული ფაქტის შესახებ მიუთითა თავმჯდომარეს. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი გააპროტესტა ასევე ადგილზე მყოფმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა არ არეგულირებს მსგავს შემთხვევებს. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით არსებობდეს აკრძალვა მსგავსი შეთხვევების თავიდან აცილებისა და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალე გზით წარმართვისათვის. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარემ კომისიის ერთ-ერთ წევრს დაავალა ზედამხედველობა იმისათვის, რომ მეორე კარიდან უბანზე არ შემოსულიყო არაუფლებამოსილი პირი. აღნიშნულ უბანზე ამ მხრივ სხვა დარღვევა არ დაფიქსირებულა.

განსხვავებული სურათი დაფიქსირდა უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე. არჩევნების მსვლელობის განმავლობაში, უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებულები იყვნენ ე.წ. აგიტატორები და „უბნის უფროსები“. აგიტატორების

განცხადებით, ისინი აწარმოებდნენ მათ მხარდაჭერთა აღრიცხვას, რიგ შემთხვევებში, კი ეუბნებოდნენ ამომრჩევლებს, თუ ვინ უნდა შემოეხაზათ. „უბნის უფროსები“ კი აცხადებდნენ, რომ ისინი დანიშნული იყვნენ „ქართული ოცნების“ მიერ და უბნის კონტროლი ევალებოდათ. უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად, დაფიქსირდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი აგიტატორებისა და „უბნის უფროსების“ აქტიურობა.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს აგიტაცია აკრძალულია კენჭისყრის შენობაში[31]. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციას საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს. თუმცა, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში პარტიის წარმომადგენლების ორგანიზებული აქტიურობა, ამომრჩევლებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი აღრიცხვა და მითითება, თუ ვის უნდა დაუჭირონ მხარი, საფრთხეს უქმნის ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ნებისმიერი ზემოქმედების აკრძალვა, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას და წარმოადგენს კონტროლს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე[32]. აუცილებელია, რომ საარჩევნო კანონმდებლობით აიკრძალოს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაცია და ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი, რათა არჩევნების ჩატარებისათვის შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი გარემო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა გორის მუნიციპალიტეტის საარჩევნო უბნებზე დააფიქსირეს შემთხვევები, როცა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გამოხატავდნენ მმართველი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ხმების დათვლისას გამოცხადებულ შედეგებზე მათი დამოკიდებულების გამოვლენით.

გორში თვითმმართველობის არჩევნებში მერობის ცხრა კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. არჩევნების პირველივე ტურში სახელისუფლებო პარტიის, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა, კონსტანტინე თავზარაშვილმა გაიმარჯვა. მან არჩევნებზე მისული ამომრჩევლების 54,9%, 22947 ხმა მიიღო. მეორე ადგილზე 15,19%-ით, 6679 ხმით გავიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატი რევაზ კახნიაშვილი. მესამე ადგილზე გავიდა გორის მუნიციპალიტეტის მოქმედი გამგებელი და „შენების მოძრაობის“ მერობის კანდიდატი დავით ონიაშვილი, რომელმაც 4 908 ხმა, 11.71% მიიღო[33].

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, პროპორციული სიით „ქართულ ოცნებას“ გორის საკრებულოში 8 წევრი ეყოლება, შვიდი - კი

---

[31] ნაწილი 11, მუხლი 45.
http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi

[32] საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „დ'' პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტი.
http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi

[33]ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19377&lang=geo

ოპოზიციას. „ნაციონალური მოძრაობა“ გორის საკრებულოში სამი წევრით იქნება წარმოდგენილი, ორი წარმომადგენელი ეყოლება „ევროპულ საქართველოს“, „შენების მოძრაობასა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ კი თითო წევრი. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატებს, 25 მაჟორიტარული ოლქიდან 24-ში მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ერთში კი დამოუკიდებელმა კანდიდატმა. გორის საკრებულოში სულ 40 წევრი შევა, აქედან კი, მთლიანობაში, 32-ს „ქართული ოცნება“ შეიყვანს[34].

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ახმეტის მუნიციპალიტეტში დაკვირვებას ახორციელებდნენ პანკისის ხეობაში - სოფელ დუისის N5 და N23 საარჩევნო უბნები, სოფელ ჯოყოლოს N26 საარჩევნო უბანი, სოფელ ხალაწანის N8 საარჩევნო უბანი და სოფელ ომალოს N24 საარჩევნო უბანი (ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების - ბირკიანისა და დუმასტურის მოსახლეობა რეგისტრირებული იყო ჯოყოლოსა და დუისის საარჩევნო უბნების სიაში).

ხალაწანის N8 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა შემთხვევა, როცა სპეციალურ სიაში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი პირი (კომისიის თავმჯდომარე), რომელსაც, კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება მაჟორიტარული სისტემით მიეცა ხმა. შესაბამისად, მას გადაეცა მხოლოდ ორი ბიულეტენი - პროპორციული არჩევნებისთვის განკუთვნილი ბიულეტენი და თვითმმართველი თემის მერის ასარჩევად

[34] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19377&lang=geo

განკუთვნილი ბიულეტენი. ასეთი სახის ამომრჩეველი, რომლის კონვერტშიც მხოლოდ ორი ბიულეტენი იყო, უბანზე მხოლოდ ერთი იყო. შესაბამისად, ხმის დათვლის დროს, როცა მთვლელმა კონვერტიდან ორი ბიულეტენი ამოიღო, ყველასათვის გახდა ცნობილი, რომელ ამომრჩეველს ეკუთვნოდა აღნიშნული ბიულეტენები. როცა მთვლელმა ხმამაღლა გამოაცხადა, თუ ვინ იყო შემოხაზული, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურას წარმოადგენს, უბანზე მყოფი პირებისათვის ცნობილი გახდა, თუ ვის მისცა აღნიშნულმა ამომრჩეველმა ხმა. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებს კანონმდებლობა არ არეგულირებს, რაც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

სოფელ ხალაწანის N8 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სტენდზე, რომელზეც გამოკრული იყო ამომრჩეველთა სია, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ აღმოჩენილ იქნა „ქართული ოცნების“ სააგიტაციო ბუკლეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა N8 უბნის კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „მე მეხება უბანზე არსებული სიტუაციის კონტროლი და არა უბნის გარეთ მიმდინარე მდგომარეობის კონტროლი“. აღნიშნული შენიშვნის შემდეგ, ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელმა ბუკლეტი სტენდიდან მოხსნა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გარკვეული უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე წინა წლების მსგავსად, კვლავ იმყოფებოდნენ ე.წ. კოორდინატორები, რომლებიც ითვლიდნენ ამომრჩეველთა რაოდენობას. აღნიშნული ხასიათის ქმედება წარმოადგენს ზეგავლენას ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შეტანილი იქნას დებულება, რომელიც აკრძალავს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის უბნებზე შეიმჩნეოდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების სიმცირე. ასევე, ზოგიერთ უბანზე წარმოდგენილი იყვნენ დამკვირვებლები, რომლებიც იგივდებოდნენ კონკრეტულ პარტიებთან, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მათ არ ჰქონდათ კარგად გაცნობიერებული საკუთარი როლი.

აღსანიშნავია, რომ კომისიის თავმჯდომარეები, უმეტესწილად, ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული მცირე დარღვევები იყო პროცედურული ხასიათის და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეფასებით, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებლების მიერ არ ხდებოდა სრულფასოვანი დაკვირვება ულტრაიისფერი ფარნის დანათების დროს მარკირების შესამოწმებლად. დამკვირვებლის შეფასებით, ხშირ შემთხვევებში ფორმალურად ხდებოდა ულტრაიისფერი ფარნის დანათება, შესაბამისი შემოწმებისა და

დაკვირვების გარეშე. ნაკადის მომწესრიგებლებმა უნდა განახორციელონ სრულყოფილი დაკვირვება მარკირების შემოწმებისას.

ახმეტის თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, იოსებ ქარუმაშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 59.41% მოიპოვა (8523 ხმა). მეორე ადგილზე 18.84%-ით გავიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, შაქრო ტერტერაშვილი. მესამე ადგილზე გავიდა „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“ კანდიდატი, გელა ჭვრიტიძე, რომელმაც 1515 ხმა, 10.56% მიიღო[35].

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრიან შემადგენლობაში პროპორციული სიით მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - რვა წევრი, „ევროპული საქართველო“ - ორი, „ნაციონალური მოძრაობა“ - სამი, „პატრიოტთა ალიანსი“ - ერთი და ასევე ერთი წევრი ჰყავს „ლეიბორისტულ პარტიას“. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატებს, მმართველ გუნდს 14 წევრი ჰყავს, ერთი დამოუკიდებელი დეპუტატია და ერთიც „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს[36].

თელავის მუნიციპალიტეტი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები თელავის მუნიციპალიტეტში მონიტორინგს ახორციელებდნენ შემდეგ საარჩევნო უბნებზე: ყარაჯალის N37, N38, N39 და N54 და სოფელ ნაფარეულის N50 და N26.

სოფელ ყარაჯალის N39 საარჩევნო უბანი არის მცირე ზომის, რაც იწვევს მაღალ სიმჭიდროვეს და ქმნის ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევის რისკს, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, რომლის თანახმად, ხმის მიცემის ადგილი იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა. უბანზე იყო შემთხვევები, როცა ამომრჩეველი ხმის მიცემის შესავსებად საჭიროებდა დახმარებას. მაღალი სიმჭიდროვის გამო, ამ დროს მიმდინარე კომუნიკაცია გასაგები იყო ახლოს მდგომი პირებისათვის, რაც ეწინააღმდეგება ხმის მიცემის ფარულობის პრინციპს. ასევე, საარჩევნო კოდექსის თანახმად, ხმის დათვლის პროცესის დროს, მთვლელებსა და უბანზე ყოფნის უფლების მქონე სხვა პირებს (გარდა მეთვალყურეებს) შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრისა. N39 უბანი არ ქმნიდა აღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

[35] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: https://results20171021.cec.gov.ge/meri_temi_18.html

[36] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/27531-akhmeta

სოფელი ყარაჯალა წარმოადგენს ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შენობის შესასვლელ ოთახში კედელზე აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე გაკრული იყო საინფორმაციო ფურცელი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ამომრჩეველთა უფლებებისა და ხმის მიცემის გარკვეული პროცედურების შესახებ. თუმცა, ხმის მიცემის წესების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო სრული. კერძოდ, ხმის მიცემის წესების შესახებ აღნიშნული ფურცელი არ შეიცავდა ინფორმაციას, რომ ამომრჩეველმა ბიულეტენში უნდა შემოხაზოს მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის გასწვრივ მითითებული რიგითი ნომერი, ასევე ბიულეტენი უნდა გადაკეცოს ისე, რომ არ ჩანდეს მის მიერ გაკეთებული არჩევანი. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი იყო კედელზე გამოკრულ სხვა საინფორმაციო ფურცელზე, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ინფორმაციის აზერბაიჯანულ ენაზე გამოკვრა განსაკუთრებით საყურადღებოა. ყარაჯალის N39 უბანზე დაფიქსირებულ ძირითად პრობლემას სწორედ ამომრჩეველთა მიერ აღნიშნული წესების არცოდნა წარმოადგენდა. კერძოდ, კაბინიდან გამოსვლის

შემდეგ, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ამომრჩევლებმა არ იცოდნენ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როცა კაბინაში შესვლისას, მათ სჭირდებოდათ დახმარება პროცედურის არცოდნის გამო. ხშირი იყო შემთხვევები, როცა რიგში მდგომმა შემდგომმა ამომრჩევლებმაც არ იცოდნენ ხმის მიცემის წესები. შესაბამისად, უბანზე იქმნებოდა არეულობა. აღნიშნული პრობლემები კიდევ ერთხელ მიუთითებს ამომრჩეველთა შორის ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე ხმის მიცემისა და სხვა საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით.

ყარაჯალის ცენტრში ერთად იყო განლაგებული თელავის მე-17 საარჩევნო ოლქის 37-ე, 38-ე, 39-ე და 54-ე საარჩევნო უბნები. ამის გამო, აქ კენჭისყრის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა. იქვე, საარჩევნო უბნების გვერდით გახსნილი იყო პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი[37], რომლის წინ დილიდანვე მობილიზებული იყვნენ პარტიის მხარდამჭერები და აგიტატორები. ისინი აქტიურად ეკონტაქტებოდნენ ამომრჩევლებს საარჩევნო უბანში შესვლამდე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დღის განმავლობაში უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის, ზურაბ მუსაევის აქტიურობა, ხალხმრავლობა მის გარშემო, ასევე მასსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის აქტიური კომუნიკაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეფასებით, მაჟორიტარი კანდიდატის ქმედებები შეიცავდა ამომრჩეველთა მობილიზაციის ნიშნებს. მართალია, აღნიშნული ქმედებები არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ დაარეგულიროს უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან შესაძლო აგიტაციის შემთხვევები, იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზე ზემოქმედება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა ყარაჯალისა და ნაფარეულის უბნების უმეტეს ნაწილში უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს აგიტატორები, რომელთა უმრავლესობა იდგა სიებით და ინიშნავდა უბანზე მოსული ამომრჩევლების სახელებსა და გვარებს.

იმ საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, კომისიის თავმჯდომარე და წევრები, ძირითადად, ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული დარღვევები, ძირითადად, იყო პროცედურული ხასიათის და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებით.

ყარაჯალის N39 უბანზე ხშირი იყო შემთხვევები, როცა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ამომრჩევლებმა არ იცოდნენ ქართული ენა. შესაბამისად, ასეთ ამომრჩევლებს კომისიის წევრები აზერბაიჯანულ ენაზე ესაუბრებოდნენ. მართალია, ამ შემთხვევაში შესაძლოა, დამკვირვებელმა არ იცოდეს აზერბაიჯანული ენა და შესაბამისად, ვერ გაიგოს აღნიშნული კომუნიკაცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის წევრების მხრიდან აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს არსებული კანონმდებლობის დარღვევას. საარჩევნო კოდექსი არ ავალდებულებს კომისიის წევრებს კენჭისყრის დროს ქართულ ენაზე საუბარს. დაკვირვების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით დამკვირვებელ ორგანიზაციას შეუძლია, ადგილზე მიავლინოს დამკვირვებელი, რომელიც ფლობს აზერბაიჯანულ ენას.

[37] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19364&lang=geo

თელავის მე-17 საარჩევნო ოლქის 37-ე საარჩევნო უბანზე (სოფელი ყარაჯალა) გამოცხადდა ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებული იყო აღნიშნულ უბანზე და არ აღენიშნებოდა მარკირება. ამ ამომრჩევლისათვის განკუთვნილ სარეგისტრაციო გრაფაში აღმოჩნდა, რომ სხვას ჰქონდა ხელი მოწერილი. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეგისტრატორი დაღლილი იყო და ამასთან, მას უკვე ჰქონდა ერთი ახსნა-განმარტება დაწერილი, ამიტომ მეორე ახსნა-განმარტებას ვერ დააწერინებდა[38]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე დაუკავშირდა საოლქო კომისიას, საიდანაც მიიღო მითითება, რომ ხელი არ შეეშალათ ხმის მიცემის პროცესისათვის. ამის შემდეგ, ამომრჩეველმა შეძლო ხმის მიცემა, ხოლო კომისიის წევრმა კიდევ ერთი ახსნა-განმარტება დაწერა. აღნიშნული ფაქტის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში გააკეთა შენიშვნა. აღნიშნული შენიშვნიდან დაახლოებით 20 წუთის გასვლის შემდეგ, იგივე რეგისტრატორთან განმეორდა იდენტური ფაქტი. უბანზე მივიდა ამომრჩეველი, რომლის გვარის გასწვრივ იყო ხელმოწერა, რის გამოც თავმჯდომარემ ამომრჩეველს არ მისცა ხმის მიცემის უფლება. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ დაიწერა საჩივარი როგორც უბანზე, ასევე N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა[39].

თელავის თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, შოთა ნარეკლიშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 54.78% მოიპოვა (14245 ხმა). მეორე ადგილზე 27.71%-ით გავიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, გიორგი ბოტკოველი. მესამე ადგილზე გავიდა „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“ კანდიდატი, ლელა მენთეშაშვილი, რომელმაც 1999 ხმა, 7.69% მიიღო[40].

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 35-წევრიან შემადგენლობაში პროპორციული სიით მანდატები შემდეგნაირად განაწილდა: „ქართულ ოცნებას'' - 9 დეპუტატი წარმოადგენს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას'' – 4, „ევროპულ საქართველოს'' - 1, და ასევე ერთი - „პატრიოტთა ალიანსს''. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატებს, „ქართული ოცნების'' მანდატი მოიპოვა 18-მა კანდიდატმა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა'' და „ევროპულ საქართველოს'' კი წარმოადგენს თითო დეპუტატი[41].

---

[38] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19364&lang=geo

[39] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=6232

[40] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები, წინასწარი მონაცემები:
http://results.cec.gov.ge/

[41] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/27530-thelavi

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მონიტორინგს ახორციელებდნენ შემდეგ საარჩევნო უბნებზე: იორმუღალო, მუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა და ქეშალო. მუღანლო, იორმუღალო, ლამბალო, ქეშალო და დუზაგრამა გაერთიანებულია იორმუღალოს თემში. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დაკვირვებას ახორციელებდნენ შემდეგ უბნებზე: N38, N40, N41, N42, N43, N44 და N45.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N41 უბანზე შეიმჩნეოდა პრობლემები ნაკადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაკადის მომწესრიგებელი ვერ უზრუნველყოფდა რიგების მოწესრიგებას და რეგისტრატორებთან გროვდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ამომრჩეველი. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩევლისათვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ უნდა იმყოფებოდეს[42]. აღნიშნული წესის უზრუნველყოფა ევალება ნაკადის მომწესრიგებელს, რომელმაც არ უნდა დაუშვას ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში, თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი იმყოფება. N41 უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი უბანზე ერთად უშვებდა 10 ამომრჩეველს, შესაბამისად, ერთ რეგისტრატორთან 5 ამომრჩეველი იყრიდა თავს, რაც ქმნიდა ქაოტურ მდგომარეობას.

N41 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როცა საუბნო კომისიის მდივანს დატოვებული ჰქონდა ჩანაწერთა წიგნი უმეთვალყურეოდ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა მისცა მდივანს, რამაც მისი გაბრაზება გამოიწვია. მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადამიანის უფლებათა ცენტრის მობილური ჯგუფის წევრებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მდივნის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე შენიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში. მდივანი ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს არ აძლევდა შენიშვნის გაკეთების უფლებას, რის გამოც, დამკვირვებელმა ცესკოს ცხელ ხაზს მიმართა. აღნიშნულის შემდეგ, დამკვირვებელმა შეძლო ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის გაკეთება.

უნდა აღინიშნოს რომ N41 უბანზე დაფიქსირებულ სხვა დარღვევებთან (სამკერდე ნიშნის გარეშე უცნობი პირების ყოფნა, ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის გარეთ გატანის მცდელობა, ნაკადის მომწესრიგებლის მიერ ამომრჩევლის შეუმოწმებლობა) დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარე ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებს და აღმოფხვრიდა დარღვევებს.

N40 უბანზე დაფიქსირდა პროცედურული და ტექნიკური ხასიათის დარღვევები, რომელთა დაკავშირებითაც კომისიის თავმჯდომარემ განახორციელა კანონით გათვალისწინებული რეაგირება: 1) რეგისტრატორს გამორჩა ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის გაკეთების უზრუნველყოფა. აღნიშნული ფაქტის შესახებ უბნის

[42] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi

თავმჯდომარემ ინფორმაცია მიაწოდა საოლქო კომისიას. რეგისტრატორმა დაწერა ახსნა-განმარტება. 2) გადასატანი ყუთის ზედამხედველმა ორმა კომისიის წევრმა ერთ-ერთ ამომრჩეველს მისცა ორი ერთნაირი ბიულეტენი. აღნიშნული ფაქტის შესახებ უბნის თავმჯდომარემ ინფორმაცია მიაწოდა საოლქო კომისიას. კომისიის წევრებმა დაწერეს ახსნა-განმარტება. 3) ხმის მიცემისათვის განკუთვნილი სპეციალური კაბინის სიახლოვეს იმყოფებოდა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც კონტაქტში შედიოდა ამომრჩეველთან. აღნიშნული ფაქტის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აცნობა საუბნო კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარემ მიიღო შესაბამისი ზომები. მსგავსი ფაქტი უბანზე აღარ განმეორებულა.

N44 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა შემდეგი დარღვევები: 1) ნაკადის მომწესრიგებელი ფანარს ანათებდა არა ამომრჩევლის ხელზე, არამედ პირადობის დამადასტურებელ მოწმობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა რეაგირება სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნა და განუმარტა მისი მოვალეობა. აღნიშნული განმარტების შემდეგ, ნაკადის მომწესრიგებლის მხრიდან მსგავს ქმედებას ადგილი აღარ ჰქონია. 2) ერთ-ერთმა ამომრჩეველმა უბანზე შემოსვლა სცადა „ქართული ოცნების" სიმბოლოიანი ქუდით. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნულ ამომრჩეველს დაატოვებინა უბანი. 3) ერთ-ერთმა რეგისტრატორმა შეცდომით გასცა ბიულეტენი, რის შესახებაც დაწერა ახსნა-განმარტებითი ბარათი. ხმების დათვლის დროს აღნიშნული შეცდომით გაცემული ბიულეტენები ბათილად გამოცხადდა.

სოფელ დუზაგრამის №38 უბანზე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი დარღვევები კენჭისყრის პროცესის დროს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ამომრჩევლებმა არ იცოდნენ საარჩევნო პროცედურების შესახებ, ასევე არ იცოდნენ, როგორ შემოეხაზათ ბიულეტენში სასურველი კანდიდატი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა ფაქტი, როდესაც ერთ-ერთ ამომრჩეველს კომისიის წევრმა, სწავლების მიზნით, კაბინაში შესვლამდე, გამოართვა ბიულეტენი და კალმით, ისე, რომ ბიულეტენს არ შეხებოდა და კალმის კვალი არ დამჩნეოდა, 41-ზე მიუთითა და შემოხაზა[43]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულ დარღვევაზე მიუთითა კომისიის წევრს, თუმცა კომისიის წევრი ამაზე გაბრაზდა და დამკვირვებელს უთხრა, რომ ეს სწავლების მიზნით გააკეთა და შეეძლო ამომრჩევლებისთვის 5-იანზე შემოხაზვითაც ესწავლებინა ბიულეტინის მოხმარება. დამკვირვებელმა კომისიის წევრს აუხსნა, რომ ნებისმიერ ნომერზე მითითება დარღვევა იყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულის შესახებ გააფრთხილა კომისიის თავმჯდომარე. უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ ამ მხრივ უბანზე სიტუაცია შედარებით გამოსწორდა, რადგან კომისიის წევრები

[43] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19362&lang=geo

ამომრჩევლებთან და კაბინასთან მიახლოებისაგან თავს იკავებდნენ. თუმცა, მსგავსი პრაქტიკა შემდეგ უკვე სხვა ამომრჩევლების მხრიდან გაგრძელდა, როგორც კაბინის გარეთ, ასევე კაბინის შიგნითაც. კერძოდ, ერთი ამომრჩეველი უთითებდა მეორეს 41 ნომერი შემოეხაზა, სწავლების არგუმენტის მოშველიებით. ამის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი. კომისიის თავმჯდომარემ მდივანს უთხრა, აღნიშნულ საჩივარზე ახსნა-განმარტება დაეწერა და მიეთითებინა, რომ მსგავს დარღვევას ადგილი არ ჰქონდა და ასეთი ფაქტები ამომრჩევლისათვის კენჭისყრის პროცედურების გაცნობას ემსახურებოდა.

დუზაგრამის №38 უბანზე ერთ-ერთი ამომრჩეველი გამოცხადდა პირადობის მოწმობისა და პასპორტის გარეშე. აღსანიშნავია, რომ საჭირო დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აღნიშნული ამომრჩეველი ნაკადის მომწესრიგებელმა გამოატარა და გაუშვა რეგისტრატორთან, რადგან ამომრჩეველმა იცოდა, სიაში რომელი ნომერი იყო (ამომრჩევლები უბანზე მოდიოდნენ ფურცლებით, სადაც დაწერილი იყო ნომერი, რომლის საშუალებითაც სიაში საკუთარ თავს პოულობდნენ). რეგისტრატორმა დაიწყო აღნიშნული ამომრჩევლის სიაში მოძიება და სხვა პროცედურების განხორციელება. თუმცა, რეგისტრატორმა ამომრჩეველს არ სთხოვა პირადობის მოწმობა ან პასპორტი. როცა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა რეგისტრატორს მიანიშნა აღნიშნულ დარღვევაზე, კომისიის წევრებმა ამომრჩეველს უბანი დაატოვებინეს. აღნიშნული ამომრჩეველი რამდენიმე საათის შემდეგ პირადობის მოწმობით დაბრუნდა უბანზე და მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

დუზაგრამის №38 უბანზე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კომისიის წევრები საკუთარ ადგილებს უყურადღებოდ ტოვებდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში პრობლემურ სიტუაციებს ქმნიდა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელმა დატოვა ადგილი და ულტრაიისფერი ფარანი ერთ-ერთი ორგანიზაციის დამკვირვებელს ჩააბარა. ასევე დაფიქსირდა ფაქტი, როცა ნაკადის მომწესრიგებელი არ იმყოფებოდა შესასვლელთან, საკუთარ ადგილზე, და ამომრჩეველი ისე მივიდა რეგისტრატორთან, რომ მარკირების შემოწმება გავლილი არ ჰქონდა.

დუზაგრამის №38 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ამომრჩევლებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ხმის მიცემა და საჭიროებდნენ სხვა ამომრჩევლის დახმარებას. რიგ შემთხვევებში, ამომრჩევლები, რომლებმაც უკვე მისცეს ხმა, ცდილობდნენ, დახმარებოდნენ ასეთ ამომრჩეველს. დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ამომრჩეველს შემოჰყვა სხვა ამომრჩეველი, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა მარკირება. გაფრთხილების შედეგად, არაუფლებამოსილი პირები უბანს ტოვებდნენ და შესაბამისი საჭიროების მქონე ამორჩევლებს რიგში მდგომი სხვა ამომრჩეველი უწევდა დახმარებას.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრის, კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის

წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, უბანზე ყოფნის უფლებამოსილების მქონე სხვა პირებს მხოლოდ უბანზე რეგისტრირებული სხვა ამომრჩევლები წარმოადგენენ[44]. შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩევლისათვის დახმარების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ რიგში მდგომ სხვა ამომრჩეველს.

დუზაგრამას №38 უბანზე მთავარ პრობლემას წარმოადგენდა როგორც ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის წესებისა და სხვა საარჩევნო პროცედურების არცოდნა, ასევე კომისიის წევრთა არასათანადო მომზადება.

სოფელ ქეშალოს №41-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი ვერ უზრუნველყოფდა ნაკადის მოძრაობის მოწესრიგებას, ბევრ ხალხს უშვებდა უბანზე, რაც იწვევდა კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ამომრჩევლის ყოფნას და ოთახის გადავსებას. აღნიშნულ უბანზე პრობლემას ართულებდა ის ფაქტი, რომ მაგიდებზე მიმაგრებული არ იყო ანბანური მაჩვენებლები, რაც აბნევდა ამომრჩეველს, რომელმაც არ იცოდა, თუ რომელ მაგიდასთან მისულიყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნული ფაქტის შესახებ მიუთითა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც გაითვალისწინა მითითება და აღნიშნული ფურცლები დაამაგრა მაგიდებზე.

სოფელ ქეშალოს №41 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, რომელიც შეეხებოდა შემდეგ ფაქტს - ნაკადის მომწესრიგებელმა უბანზე ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოუშვა მოქალაქე, რომელსაც უკვე მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არჩევნებში. აღნიშნული მოქალაქე კაბინაში შეჰყვა თანხმლებ ქალს (რომელიც წარმოადგენდა უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს) და ხმის მიცემის პროცედურა შეასრულა ქალის ნაცვლად[45]. საჩივრის განმაპირობებელ მიზეზს ასევე წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ არაერთი გაფრთხილებისა და შენიშვის მიუხედავად, ნაკადის მომწესრიგებელი გულგრილად და უყურადღებოდ ეკიდებოდა თავის მოვალეობას და უბანზე შემოწმების გარეშე უშვებდა ხალხს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მოითხოვა ნაკადის მომწესრიგებლის მიმართ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის გატარება და კომისიის თავმჯდომარის მიერ სიტუაციის გამოსწორება. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის თავმჯდომარეს სიტუაცია არ გამოუსწორებია. ნაკადის მომწესრიგებელი არ შეუცვლიათ კომისიის სხვა წევრით. ადამიანის უფლებათა ცენტრის აღნიშნული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა N11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. კერძოდ, N41 საუბნო საარჩევნო კომისიის ნაკადის მომწესრიგებელის, აიდინ გულიევის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და მას სახდელად შეეფარდა შენიშვნა[46].

---

[44] საარჩევნო კოდექსი, მუხლი 8. http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi

[45] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19362&lang=geo

[46] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=6038

სოფელ ქეშალოს №41 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ასევე დააფიქსირა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში შემდეგ ფაქტთან დაკავშირებით - ნაკადის მომწესრიგებელი, თავისი ფუნქციის კომისიის სხვა წევრისთვის დროებით გადაცემას არ აფიქსირებდა მდივანთან ხელმოწერით.

სოფელ დუზაგრამას N11 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრები არ იყვნენ სათანადოდ გარკვეულნი საარჩევნო პროცედურებში და საჭიროებდნენ მითითებებს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მხრიდან. დაფიქსირდა ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემისა და საარჩევნო პროცედურების არცოდნის შემთხვევები. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემისა და საარჩევნო პროცედურების არცოდნის შემთხვევები დაფიქსირდა ასევე სოფელ მუღანლოს N42-ე უბანზე.

საგარეჯოს თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, გიორგი ერბოწონაშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 69.37% მოიპოვა (12642 ხმა). მეორე ადგილზე 12.87%-ით გავიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, გარსევან ბუხნიკაშვილი. მესამე ადგილზე გავიდა „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“ კანდიდატი, ამირან სონიშვილი, რომელმაც 1788 ხმა, 9.81% მიიღო[47].

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 37-წევრიან შემადგენლობაში პროპორციული სიით მანდატები შემდეგნაირად განაწილდა: „ქართულ ოცნებას“ – 10 დეპუტატი წარმოადგენს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 3, „ევროპულ საქართველოს“ - 2, „პატრიოტთა ალიანსს“ - 1. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატებს, აქედან ერთი დამოუკიდებელი დეპუტატია, დანარჩენი 21 კი - „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს[48].

არჩევნების დღის შეჯამება - ძირითადი დაკვირვებები

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში და ახმეტის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში არჩევნები, ძირითადად, მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა. აღნიშნული მუნიციპალიტეტების იმ უბნებზე, სადაც ორგანიზაციამ მონიტორინგი განახორციელა კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა ძირითადად მშვიდ ვითარებაში, არსებითი დარღვევების გარეშე. საუბნო კომისიის თავმჯდომარეები ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების ზეპირსიტყვიერ შენიშვნებს პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით.

უფრო მეტი პრობლემა დაფიქსირდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალასა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობებით

[47] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://results.cec.gov.ge/

[48] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/27525-vin-iqnebian-sagarejos-tsarmomadgenlobithi-organos-deputatebi

დასახლებულ სოფლებში, სადაც, ერთი მხრივ, კომისიის წევრთა არასათანადო მომზადების, მეორე მხრივ კი, ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის წესების არცოდნის გამო, იქმნებოდა დაძაბულობა, ზოგიერთ უბანზე კი დაფიქსირდა დარღვევები[49]. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის წესების არცოდნა შემაშფოთებელ ტენდენციას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, სადაც ხშირი ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევებს. აღნიშნული ფაქტები მეტყველებს ამ რეგიონებში ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით უფრო აქტიური საინფორმაციო და საგანმანათებლო ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე.

შემაშფოთებელ ტენდენციად იქცა ზოგიერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიების კოორდინატორების, მხარდამჭერებისა და აგიტატორების გადამეტებული აქტიურობა და ამომრჩეველთა კონტროლის მცდელობა. აღნიშნული პრობლემები დაფიქსირდა როგორც თელავისა და საგარეჯოს, ასევე გორისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი არ კრძალავს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიათა კოორდინატორების/აგიტატორების ყოფნას, მსგავსი ფაქტები (მათ შორის, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში პარტიის წარმომადგენლების ორგანიზებული აქტიურობა, ამომრჩევლებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი აღრიცხვა და მითითება, თუ ვის უნდა დაუჭირონ მხარი) ხელს უშლის საარჩევნო პროცესში მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოვლენას. აუცილებელია, რომ საარჩევნო კანონმდებლობით აიკრძალოს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაცია და

[49] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე:
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19365&lang=geo

ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი, რათა არჩევნების ჩატარებისათვის შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი გარემო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაფიქსირდა იყო არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების ნაკლებობა გორის მუნიციპალიტეტისა და კახეთის რეგიონის იმ უბნებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა. კერძოდ, დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როცა სტაციონარული დამკვირვებელი მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრს ჰყავდა წარმოდგენილი უბანზე.

2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც დააფიქსირეს, რომ ბევრ საარჩევნო უბანზე ბიულეტენების რაოდენობა ნაკლები იყო სიაში არსებული ამომრჩევლის რაოდენობაზე. მართალია, უბნებზე ყველა ამომრჩეველი არ მისულა, მაგრამ მნიშვნელოვანია, კანონით დადგენილი ნორმები შესრულდეს და აცილებული იყოს ყველა რისკი, რაც შეიძლება შეექმნათ ამომრჩევლებს კენჭისყრის პროცესში[50].

ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მსგავსი სურათი დაფიქსირდა იმ რეგიონებშიც, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა 40.19% გამოცხადდა ხმის მისაცემად. ახმეტის მუნიციპალიტეტში - 50%, თელავის მუნიციპალიტეტში - 48.72%, ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - 41.84%[51].

რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს**:**

<u>ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:</u>

- დამატებითი ღონისძიებები გატარდეს ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდის, ხმის მიცემისა და საარჩევნო პროცედურების ცოდნის, სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს; საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცედურების ცოდნის გაუმჯობესებას; საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, აუცილებელია ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება უწყვეტ

[50] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19365&lang=geo
[51] ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ლინკზე: http://cesko.ge/res/docs/Aqtivoba20.002017GEOGENDER.pdf

რეჟიმში. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს, რათა მომავალში კომისიის წევრთა არასათანადო მომზადება აღარ გახდეს კანონდარღვევათა საფუძველი;

- ამომრჩეველთა ნებაზე არაკანონიერი ზემოქმედების ფაქტებზე კონტროლი განხორციელდეს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე;
- სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კენჭისყრის შენობის მოწყობის საკითხს. გარემო, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობს, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რისთვისაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები და კენჭისყრის პროცესის გამართვისთვის შეარჩიოს შესაბამისი სივრცე.

<u>საქართველოს პარლამენტს:</u>

- კანონმდებლობით აიკრძალოს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაცია და ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი, რათა არჩევნების ჩატარებისათვის შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი გარემო;

- ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას სხვა პირის დასწრების შესაძლებლობას და განსაზღვრულია, რომ ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, აუცილებელია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის ამავე მუხლით დაზუსტდეს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება შემთხვევად, როდესაც პირს „არ შეუძლია“ დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი. არსებული რეგულაცია არის ბუნდოვანი და პრაქტიკაში იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტირების შესაძლებლობას.

DELIVERING DATA
Cogniview

This document was merged using the trial version of **CogniView Merge PDF**.
To purchase Merge PDF, Click Here